



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 51  
29/09/2017

51-04-4-201709291658



**„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის N6 დადგენილებაში ცვლილება - დამატების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106<sup>1</sup>-ე და 106<sup>5</sup>-ე მუხლების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის N6 დადგენილებაში ცვლილება - დამატების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე -ა.დევაძე).

3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 20 ოქტომბერი.

4. ნორმატიულ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 27 ოქტომბერი.

5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.

6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.keda.ge](http://www.keda.ge)).

7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა - აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

## ც ნ ო ბ ა

### საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის #6 დადგენილებაში ცვლილება - დამატების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ა.დევაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2017 წლის 19 ოქტომბერს დღის 18 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2017 წლის 20 დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის #6 დადგენილებაში ცვლილება - დამატების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2017 წლის 27 ოქტომბერი.

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
დადგენილება №--  
2017 წლის -- სექტემბერი  
დაბა ქედა**

**„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის დადგენილება N6 ცვლილება - დამატების შეტანის შესახებ.**

„საქართველოს კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

„ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 03 მაისის N6 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge) 11.05.16 წ. სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.134.016193) განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილება - დამატება:

1. რეგლამენტის 124-ე მუხლიდან ამოღებული იქნეს მე-5 პუნქტი.
2. რეგლამენტს დაემატოს 124<sup>1</sup> მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„ მუხლი 124<sup>1</sup> საკრებულოს წევრის ანგარიში

1. საკრებულოს წევრი ვალდებულია სამ თვეში ერთხელ მაინც, მაგრამ არაუგვიანეს მიმდინარე კვარტლის დასრულებიდან 15 დღსი ვადაში, მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებს და საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ.

2. საკრებულოს წევრის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის, ქედის მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან წარდგენის წესი და საკრებულოს წევრის კვარტლური ანგარიშის ფორმა განისაზღვრება და მტკიცდება საკრებულოს შესაბამისი ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე**

**ამირან ცინცაძე**